საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030121833398118

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/12035-ს **24 / დეკემბერი / 2018 წ.**

ფონდს „ბავშვი და ოჯახი“ (პოლონეთი) - Fundacja Dziecko i Rodzina

საქართველოში მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს ბავშვთა კეთილდღეობის პროცესი, მათ შორის ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება, ან გადაყვანა ალტერნატიულ, ოჯახურ გარემოში (მიმღები ოჯახი, მცირე საოჯახო ტიპის სახლი). აღნიშნული პროცესის წარმატებულად განხორციელებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ალტერნატიული მომსახურებების განვითარებას.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის მეტად მნიშვნელოვანია ბავშვთა კეთილდღეობის პროცესში პარტნიორი ორგანიზაციების მხრიდან გაწეული თანადგომა და წვლილი, რათა შესაძლებელი გახდეს სახელმწიფოსათვის პრიორიტეტული მიმართულებებით სხვადასხვა მომსახურებების განვითარება და შემდგომ განხორციელება.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო თვლის, რომ ფონდის „ბავშვი და ოჯახი“ (პოლონეთი) - Fundacja Dziecko i Rodzina მიერ შემოთავაზებული საპროექტო კონცეფცია „ბავშვზე და ოჯახზე ზრუნვის სისტემის მხარდაჭერა საქართველოში“, რომელიც დასაფინანსებლად წარედგინება პოლონეთის დახმარების პროგრამას „Polish Aid“ - დაფუძნებული პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ, გაწეული მხარდაჭერა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოში ბავშვზე ზრუნვის პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას და შემდგომ განვითარებას.

სამინისტრო თავის მხრივ მზადყოფნას აცხადეს შესაბამისი პროექტის განხორციელების მხარდასაჭერად.

მინისტრის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თამილა ბარკალაია